ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. ბათუმი

N 46
06 ივლისი 2026

46-09-4-202607061713

სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს N29 კვარტალში უკანონოდ (უკანონოდ გაჩეხვით ან სხვაგვარად) განხორციელებული ჭრების საფუძველზე სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოზე მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით გადმოცემული მერქნული რესურსის ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით გაცემის თაობაზე

საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“, „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 67-ე, 71-ე, 78-80, 82-86-ე და 88[1]-ე მუხლების, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის აჭარის სატყეო სააგენტოს შექმნის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის N55 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (დანართი1) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 14 აპრილის N002347126 დასკვნის და სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მართვის სამსახურის უფროსის 2026 წლის 04 ივნისის N634-09 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ შუახევის სატყეო ადმინისტრაციის ჭვანის სატყეოს N3 სამცველოს N29 კვარტალში, ჭრების შედეგად მოპოვებული მერქნული რესურსი გაიცეს ელექტრონული აუქციონის ფორმით საკუთრების უფლებით, თანდართული დანართი N1-ის შესაბამისად.

2.მერქნული რესურსი დასაწყობებულია შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ.ნაგომარის ტერიტორიაზე, სოჭის სახეობის 5 (ხუთი) ცალი I ხარისხის სამასალე 3.10 კუბური მეტრი ხე-ტყე ნაძვის სახეობის 3 (სამი) ცალი I ხარისხის სამასალე 3.28 კუბური მეტრი ხე-ტყე, სულ მოცულობით 6.380 კუბური მეტრი ხე-ტყე. განთავსებულია ღია ცის ქვეშ და განიცდის გარემო პირობების ზემოქმედებას, მერქნული რესურსი საავტომობილო გზიდან განთავსებულია დაახლოებით 10-15 მეტრის დაშორებით.

3.ელექტრონული აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვროს 2298.6 (ორი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარის ოდენობით.

4. ელექტრონული აუქციონის ვაჭრობის ბიჯი განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით.

5. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი ბე განისაზღვროს 459.72 (ოთხას ორმოცდაცხრამეტი ლარი და 72 თეთრი) ლარის ოდენობით;

6. თუ მონაწილე ელექტრონულ აუქციონში ვერ გაიმარჯვებს, მას ბე უკან უბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ბე-ს თანხა ითვლება აუქციონის საბოლოო/შეთავაზებულ ფასში.

7. ბე უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება, თუ: ა) მონაწილე არ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში; ბ) გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ელექტრონულ აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას; გ) აუქციონში გამარჯვებული პირი არ გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას.

8.მერქნული რესურსის საკუთრების უფლებით გაცემის მიზნით გამართულ ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონში გამარჯვების დღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში სრულად გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული თანხა (ბე-ს გამოკლებით) სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ანგარიშზე - მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში; ანგარიშის N740397309; მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: TRESGE22.

9. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად საბოლოოდ დაფიქსირებული თანხის (ბე-ს გამოკლებით) გადახდის შემდეგ სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტო უზრუნველყოფს: I ხარისხის მრგვალი ხე-ტყისათვის (სამასალე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში მოყვანილი ცხრილის მიხედვით ტყის მერქნიან სახეობათა შესაბამისი ჯგუფის I კატეგორიისათვის დადგენილი მოსაკრებლის გადახდას სულ ჯამში 140.36 (ას ორმოცი ლარი და 36 თეთრი) ლარის ოდენობით, ხოლო დარჩენილი თანხა წარმოადგენს მართვის ორგანოს დაფინანსების წყაროს;

10. მერქნული რესურსის საკუთრებაში გაცემის მიზნით გამართული ელექტრონული აუქციონის დამთავრებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში აუქციონში გამარჯვებულის მიერ გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება და გამარჯვებულს საკუთრებაში გადაეცემა მერქნული რესურსი.

11. ელექტრონული აუქციონი ავტომატურად ითვლება ჩაშლილად, თუ: ა) ელექტრონულ აუქციონზე ვერ განხორციელდა ქონების რეალიზაცია; ბ) წინამდებარე ბრძანების მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას; გ) დაირღვა კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.

12. ელექტრონული აუქციონის ჩატარების თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ინტერნეტგვერდზე – www.eauction.ge.

13. სააუქციონო განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება დაევალოს სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს.

14. სააუქციონო განცხადების კანონმდებლობით დადგენილი წესით ფინანსური ოპერაციების შესრულება დაევალოს სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ეკონომიკურ სამსახურს.

15. ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ადმინისტრირების განყოფილების საქმისწარმოების სპეციალისტმა (თ.პაპიძე)

უზრუნველყოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ბრძანების გაცნობა შესაბამის პირებზე.

16. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ზემდგომ ორგანოში - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსა დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოში (ბათუმი, გორგასალის ქ.N124) და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ელდარ ცინცაძე

სააგენტოს უფროსი
ხელმძღვანელობა

https://edocument.ge/AdjaraGov/public46-09-4-202607061713